13/11/2026

MES 0 26 0001659358

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 30.10.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:06
სხდომის დამთავრების დრო: 15:26
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ლევან შავაძე** – სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო ხოლუაშვილი** – შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ასოცირებული პროფესორი – საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ვაჟა კელიხაშვილი** – ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი – საბჭოს მდივანი;

4. **ქეთევან აფთარაშვილი** – შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. **პეტრე ბაბილუა** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
6. **მარიამ ხოფერია** – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ვალერიან გოგრონიძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
8. **შალვა კელეპტრიშვილი** – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, სამთო-გეოლოგიური და მთის მდგრადი განვითარების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
9. **ლია სანოძე** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის დირექტორი;
10. **ხათუნა ლომაური** – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ნეონატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
11. **ინგა დიასამიძე** – სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
12. **ავთანდილ თავხელიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, კვლევითი და ტექნოლოგიური ცენტრის „ნანოსტრუქტურები განახლებადი ენერგეტიკისათვის“ (ლაბორატორია) დირექტორი;
13. **მაია ბარბაქაძე** – სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პროფესორი;
14. **ფრიდონ გოგიაშვილი** – სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
15. **თინათინ გოგნაძე** – შპს ევროპის უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
16. **თამარ მერაბიშვილი** – შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს პროფესორი;
17. **თეა ნარეკლიშვილი** – შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი;
18. **სალომე ტყეშელაშვილი** – სსიპ – საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის დირექტორი;
19. **ლევან ციცქიშვილი** – სსიპ – ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;
20. **ეკატერინე ჭალაგანიძე** – შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
21. **თამარ ხურცილავა** – შპს აიქიუ კლინიკის გენერალური მენეჯერი, შპს პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიის ასოცირებული პროფესორი;
22. **დავით ჯინჭარაძე** – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

- **ანა ჯუღელი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

- **მელანო ლომინაძე** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ვლადიმერ ღლონტი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია
ნინო ღაღანიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
თამარ მინაშვილი - სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი
თამარ გვიანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
თამარ ტუფინაშვილი - აკადემიური განვითარების ხელმძღვანელი;
მიხეილ რუხაია - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ვახტანგ ჭარაია - რექტორის მოადგილე სამეცნიერო კვლევით საკითხებში; ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი.
გიგა თვაური - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე.

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქეთევან ლატარია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
დალი ბერანძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
ნინო ფეტვიაშვილი - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

შპს საქართველოს უნივერსიტეტი
არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
რევაზ ტაბატაძე - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
შალვა დუნდუა - საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
თინა ღუდუშაური - ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი.

აკრედიტაციის ექსპერტები:
ეკა ლეკაშვილი - I, IV და V საკითხი;
თამთა ლეკიშვილი - I საკითხი;
თამარ ჩხეიძე - II საკითხი;
თამთა თურმანიძე - II საკითხი;
ნანი არაბული - III საკითხი;
დიანა მჭედლიშვილი - VI, VII და VIII საკითხი;
ზაქარია ქიტიაშვილი - IX, X და XI საკითხი;

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:06 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის (60 დღიანი) შედეგების განხილვა.
3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების" საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი„მასწავლებლის მომზადების" საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის"განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
10. შპს საქართველოს უნივერსიტეტის"განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
11. შპს საქართველოს უნივერსიტეტის“მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.
2. სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის (60 დღიანი) შედეგების განხილვა.
3. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
5. შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
7. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების" საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
8. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი„მასწავლებლის მომზადების" საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის"განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
10. შპს საქართველოს უნივერსიტეტის"განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
11. შპს საქართველოს უნივერსიტეტის“მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

პირველი საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური - დოქტორანტურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

კრედიტების რაოდენობა - 60

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
თვითაცილება განაცხადა ინგა დიასამიძემ - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის პროცესში ექსპერტის სტატუსით მონაწილეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ეკა ლეკაშვილმა, აღნიშნა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია იმ პერიოდში გაიარა, როდესაც ახალი სადოქტორო ჩარჩო დამტკიცდა. თუმცა, აკრედიტაციისთვის საჭირო დოკუმენტაცია დაწესებულებას აღნიშნულ პერიოდამდე ჰქონდა წარდგენილი, რის გამოც ვიზიტის ფარგლებში პროგრამის ახალი სადოქტორო ჩარჩოს მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება ვერ განხორციელდა. მონიტორინგის შეფასების პროცესში დადგინდა, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ახალი ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული რეკომენდაციები, ასევე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები როგორც კლასტერული, ისე ინდივიდუალური ხასიათის. კლასტერული რეკომენდაციები ძირითადად სწავლის შედეგებსა და სწავლა-სწავლების მეთოდებს შეეხებოდა, ხოლო ინდივიდუალური რეკომენდაციები სილაბუსების დახვეწას, განახლებასა და შეფასების მეთოდების გაუმჯობესებას უკავშირდებოდა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე დადგინდა, რომ დაწესებულებას ყველა რეკომენდაცია შესრულებული აქვს.
ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა ორი რეკომენდაცია, რომელთა მიმართაც უნივერსიტეტმა არგუმენტირებული პოზიცია წარმოადგინა, რაც ექსპერტებმა გაიზიარეს. პირველი რეკომენდაცია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების საკითხს ეხებოდა. დაწესებულების განმარტებით, აკადემიურ მარეგულირებელ დოკუმენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანა იგეგმებოდა, რის დასადასტურებლადაც უნივერსიტეტმა შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოადგინა. აღნიშნული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა. მეორე რეკომენდაცია ახალი სადოქტორო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად რეცენზენტთა ანონიმურობის უზრუნველყოფას შეეხებოდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც ექსპერტებმა დაწესებულების არგუმენტაცია გაითვალისწინეს. კერძოდ, უცხოელი რეცენზენტის შემთხვევაში, შესაბამის ინფორმაციას სამეცნიერო სამსახური ფლობდა და სწორედ მას ეკისრებოდა კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება. რაც შეეხება ქართველ რეცენზენტს, მისი კანდიდატურა საბჭოს მიერ მტკიცდება, რის გამოც ანონიმურობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით საქართველოს კონტექსტის გათვალისწინებით, პრაქტიკულად რთულია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისატვის და განაცხადა, რომ დამატებითი არგუმენტაცია ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასთან მიმართებით არ გააჩნდა.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართა საბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება.
დაწყების დრო: 14:16
დასრულების დრო: 14:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[2]მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მეორე საკითხი: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის (60 დღიანი) შედეგების განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ქანდაკება
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების მაგისტრი ქანდაკებაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0213 სახვითი ხელოვნება
კრედიტების რაოდენობა - 120

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ჩხეიძემ განმარტა, რომ აღნიშნული წარმოება არაგეგმიური მონიტორინგის ფარგლებში მიმდინარეობდა, რომლის მიზანიც პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება იყო. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროგრამის შესაბამისობა 1.3 და 1.4 ქვესტანდარტებთან.
დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ მონიტორინგის ფარგლებში რეკომენდაცია 4.1 კომპონენტთან მიმართებითაც იყო გაცემული. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კომპონენტი სრულ შესაბამისობაში შეფასდა, ექსპერტებმა საკითხის სრულყოფილად გადამოწმების მიზნით დამატებითი შეფასება განახორციელეს და დაადასტურეს, რომ აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით კონკურსი მართლაც იყო გამოცხადებული.
მონიტორინგის ფარგლებში გაცემული იყო ორი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაცია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის დახვეწასა და მისი სისტემური ანალიზის დანერგვის აუცილებლობას უკავშირდებოდა. აღინიშნა, რომ მონიტორინგის ეტაპზე აღნიშნული რეკომენდაცია სრულად შესრულებული არ იყო. მეორე რეკომენდაცია სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურას შეეხებოდა და ითვალისწინებდა მოთხოვნას, რომლის თანახმად, შემოქმედებით კომპონენტთან ერთად ნაშრომში შესაბამისი კონცეფციის აღწერაც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.
ექსპერტთა ჯგუფმა ორივე საკითხი შეისწავლა და დაადგინა, რომ გაცემული რეკომენდაციები სრულად არის შესრულებული.
ამასთან, მონიტორინგის ფარგლებში გაიცა ტექნიკური ხასიათის ორი რჩევა. პირველი რჩევა 1.3 ქვესტანდარტს უკავშირდებოდა და მიზნად ისახავდა საგნის სწავლის შედეგების მიღწევის დონეებთან დაკავშირებული უზუსტობების აღმოფხვრასა და შესაბამისი ინფორმაციის უფრო მკაფიო ფორმით წარმოდგენას. მეორე რჩევა ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებას ეხებოდა. კერძოდ, სტუდენტთა ჯამური რაოდენობის შესახებ წარმოდგენილ მონაცემებში გამოვლენილი იყო გარკვეული უზუსტობები.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მაქსიმალურად გაითვალისწინეს რეკომენდაციები და რჩევები პროგრამაზე.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართა საბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:32
დასრულების დრო: 14:33

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან (60 დღიანი) დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^2მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის "ქანდაკების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

მესამე საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0613 პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
კრედიტების რაოდენობა - 180

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ნანი არაბულმა აღნიშნა, რომ პროგრამამ მიიღო სრული აკრედიტაცია და ერთი წლის ვადაში უნდა წარმოედგინა რეკომენდაციების შესრულების ანგარიში. წარმოდგენილი იყო 5 რეკომენდაცია და ხუთივე რეკომენდაცია არის შესრულებული.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
დაწესებულებას არ წარმოუდგენია პოზიცია

საბჭოსთავმჯდომარემმიმართა საბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:36
დასრულების დრო: 14:38

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6-}ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "კომპიუტერული მეცნიერება და ხელოვნური ინტელექტი" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

მეოთხე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტების რაოდენობა - 192

მეხუთე საკითხი: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
კრედიტების რაოდენობა - 192

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
იმის გათვალისწინებით, რომ შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ საბაკალავრო და „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშები შეაფასა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ ორივე წარმოება განეხილათ ერთი მოსმენის ფარგლებში.

მეოთხე და მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ ორივე პროგრამასთან მიმართებით იდენტური რეკომენდაციები იყო გაცემული. ექსპერტმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და პროგრამების სისტემური და სრულყოფილი შეფასების მიზნით დამატებითაც გამოითხოვეს შესაბამისი მასალები. განხორციელებული შეფასების შედეგად დადგინდა, რომ ყველა გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
დაწესებულებას არ წარმოუდგენია პოზიცია

საბჭოსთავმჯდომარემმიმართა საბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.
თამარ მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ სილაბუსში დამხმარე ლიტერატურაზე მითითებულია "Optional", რომელიც სხვა რეგალიაა და უნდა გასწორდეს სიტყვით „Additional“.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:42
დასრულების დრო: 14:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის „ხელოვნური ინტელექტი და პროგრამირება ბიზნესში“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს სხდომა დატოვა ფრიდონ გოგიაშვილმა.

მეექვსე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - სკოლამდელი განათლება
საფეხური - ბაკალავრიატი
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - სკოლამდელი განათლების ბაკალავრი

დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0112 სკოლამდელი განათლების მასწავლებლის მომზადება
კრედიტების რაოდენობა - 240

მეშვიდე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების" საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადება
საფეხური - VI
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - N/A
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - N/A
კრედიტების რაოდენობა - 60

მერვე საკითხი: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი„მასწავლებლის მომზადების" საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მასწავლებლის მომზადება
საფეხური - VI
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - N/A
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - N/A
კრედიტების რაოდენობა - 60

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო, „დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების" და „მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამებზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშები შეაფასა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სამივე წარმოება განეხილათ ერთი მოსმენის ფარგლებში.

მეექვსე, მეშვიდე და მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ორ პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო 13 რეკომენდაცია. მათი შესრულების შეფასების შედეგად დადგინდა, რომ 9 რეკომენდაცია სრულად შესრულებულია, ერთი რეკომენდაციის შესრულება წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება, ერთი რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია, ხოლო ორი რეკომენდაცია არ შესრულებულა, ვინაიდან დაწესებულება არ დაეთანხმა მათ შინაარსს.
ერთ-ერთი რეკომენდაცია ითვალისწინებდა ბავშვთა უფლებების საკითხის სწავლის შედეგებში მკაფიოდ ასახვას, რათა ხაზგასმული ყოფილიყო აღნიშნული საკითხის მნიშვნელობა პედაგოგის მომზადების პროცესში. თვითშეფასების დოკუმენტში დაწესებულებას მითითებული ჰქონდა, რომ აღნიშნული საკითხი სილაბუსში ასახა, თუმცა შესაბამისი სილაბუსი წარმოდგენილი არ ყოფილა, რის გამოც, რეკომენდაციის შესრულების დადასტურება ვერ მოხერხდა.
კიდევ ერთი რეკომენდაცია ეხებოდა უნივერსიტეტის მიერ მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებას, რომელიც განსაზღვრავდა დისტანციური და ელექტრონული სწავლების სტანდარტებსა და მახასიათებლებს. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელშიც ასახული იყო რეკომენდაციით გათვალისწინებული საკითხების უმეტესობა, თუმცა დისტანციური სწავლების საკითხი გათვალისწინებული არ იყო. აღნიშნულ გარემოებას თავად დაწესებულებაც ადასტურებდა. შესაბამისად, რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულად შეფასდა.
დიანა მჭედლიშვილის განმარტებით, დაწესებულება მე-9 და მე-11 რეკომენდაციებს არ იზიარებს.
რაც შეეხება მესამე პროგრამას, მის ფარგლებში გაცემული იყო 9 რეკომენდაცია. მათი შეფასების შედეგად ერთი რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულად შეფასდა, ხოლო ერთი რეკომენდაციის შესრულება წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დასტურდება. ამ შემთხვევაშიც, მეტწილად შესრულებულად შეფასებული რეკომენდაცია მარეგულირებელი ჩარჩოს შემუშავებას უკავშირდებოდა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
დაესებულების წარმომადგენელმა, დალი ბერანძემ აღნიშნა, რომ „სკოლამდელი განათლების“ პროგრამა ხორციელდება 240 კრედიტის ფარგლებში და წარმოადგენს მილევად პროგრამას, რომელზეც მხოლოდ მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები არიან. მისი განმარტებით, პროგრამა შედარებული იყო ანალოგიურ პროგრამებთან, ხოლო პროგრამის შემუშავების საწყის ეტაპზე პროცესში ჩართული იყო უცხოელი ექსპერტი. ამასთან, მიმდინარე წლის 16 ოქტომბერს დაწესებულებამ, საერთაშორისო ექსპერტთან თანამშრომლობის მიზნით, მოწვევა გაუგზავნა ტარტუს უნივერსიტეტის წარმომადგენელს, ანა ბოლდავას, რომლისგანაც უკვე მიღებულია დასტური, რომ შესაბამისი პროცესი 2 ნოემბრიდან დაიწყება. ასევე, დაწესებულება ელოდება უკუკავშირს თესალონიკის უნივერსიტეტისგან.
გარდა ამისა, მიმდინარე წლის 16 ოქტომბრისთვის დაგეგმილი იყო დელეგაციის ვიზიტი საერთაშორისო უნივერსიტეტებში, რაც ასევე ითვალისწინებდა პროგრამის შემუშავების პროცესში საერთაშორისო ექსპერტის უშუალო ჩართულობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება საბჭოს სთხოვს, მე-8 რეკომენდაცია მეტწილად შესრულებულად ჩაითვალოს.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართა საბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან აფთარაშვილმა იკითხა, მოხდა თუ არა მილევადი პროგრამის სამწლიან სტრუქტურაზე გადაწყობა და, აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, რამდენად იქნა გათვალისწინებული ანალოგიური პროგრამების გამოცდილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დალი ბერანძემ განმარტა, რომ პროგრამა 240-კრედიტიანია და სამწლიან სტრუქტურაზე არ გადაკეთებულა. 180-კრედიტიანი პროგრამა დაწესებულებამ დადგენილ ვადებში საბჭოს წარუდგინა. ამ ეტაპზე პროგრამის შემუშავების პროცესში უცხოელი ექსპერტი ჩართული არ არის, თუმცა ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესება დაწესებულების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს.
საბჭოს წევრი, ქეთევან აფთარაშვილი ასევე დაინტერესდა დაწესებულების პოზიციით მასწავლებლის მომზადების პროგრამასთან დაკავშირებით გაცემულ იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც დაწესებულებას არ გაუზიარებია.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ მისი შეფასებით, დაწესებულებას აღნიშნული რეკომენდაციები გარკვეულწილად გათვალისწინებული აქვს. კერძოდ, რეკომენდაციები ითვალისწინებდა შესაბამისი საკითხების გადახედვასა და კრედიტების გაზრდის შესაძლებლობის განხილვას, რაც დაწესებულებამ განახორციელა. მე-16 რეკომენდაციაც საკითხის გადახედვას უკავშირდებოდა, რაც ასევე შესრულდა.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელის, ნინო ფეტვიაშვილის განმარტებით, დაწესებულებას მასწავლებლებთან მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ამასთან, სწრაფად ცვალებადი თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს გათვალისწინებით, დაწესებულების პოზიციით, მეთოდიკისთვის კრედიტების შემცირება და არჩევითი კომპონენტისთვის მათი დამატება მიზანშეწონილი არ არის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:09
დასრულების დრო: 15:14

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სკოლამდელი განათლების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის

„დაწყებითი/საბაზო/საშუალო საფეხურის მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების" საგანანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 21
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მასწავლებლის მომზადების" საგანანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს სხდომს შემოუერთდა ფრიდონ გოგიაშვილი

მეცხრე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის"განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - განათლების ადმინისტრირება
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - I ნაწილი - განათლების ადმინისტრირების მაგისტრი; II ნაწილი - კვლევის მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0188 ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას
კრედიტების რაოდენობა - I ნაწილი - 60; II ნაწილი - 60

მეათე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის"განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო საგანანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - განათლების ადმინისტრირება
საფეხური - მაგისტრატურა
სწავლების ენა - ინგლისური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - I ნაწილი - განათლების ადმინისტრირების მაგისტრი; II ნაწილი - კვლევის მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში;
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - 0188 ინტერდისციპლინური – მოიცავს განათლებას
კრედიტების რაოდენობა - I ნაწილი - 60; II ნაწილი - 60.

მეთერთმეტე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის“მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - მასწავლებლის მომზადება
საფეხური - VI
სწავლების ენა - ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია - N/A
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი - N/A
კრედიტების რაოდენობა - 60

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
იმის გათვალისწინებით, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის "განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო, "განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვან სამაგისტრო და “მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამებზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშები შეაფასა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა, რომ სამივე წარმოება განეხილათ ერთი მოსმენის ფარგლებში.

მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

აკრედიტაციის ექსპერტმა, ზაქარია ქიტიაშვილმა აღნიშნა, რომ მასწავლებლის მომზადების პროგრამასთან მიმართებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, სტანდარტებთან სრული შესაბამისობა დადგინდა.
რაც შეეხება დანარჩენ პროგრამებს, მათ შემთხვევაშიც სტანდარტებთან შესაბამისობა დადასტურდა. თუმცა, ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ მისი შინაარსი უფრო მეტად რჩევის ხასიათს ატარებდა, ვიდრე სავალდებულო რეკომენდაციის მოთხოვნას.
კერძოდ, მეხუთე სტანდარტის ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია დისტანციური სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამისი პროცესების ადაპტირების შესახებ. ვინაიდან პროგრამა არცერთი კომპონენტით არ ითვალისწინებდა დისტანციურ სწავლებასთან დაკავშირებულ აქტივობებს, ექსპერტმა გაიზიარა დაწესებულების პოზიცია და მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხი რეკომენდაციის ნაცვლად რჩევის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენლებს პოზიცია არ წარუდგენიათ

საბჭოსთავმჯდომარემმიმართა საბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, თამარ მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ აკადემიური წერის სილაბუსში შუალედური შეფასების ფორმად განსაზღვრულია 1 500-დან 2 000 სიტყვამდე მოცულობის თხზულების დაწერა. მას აინტერესებდა, რამდენად შეესაბამებოდა აღნიშნული დავალება შუალედური გამოცდის ფორმატს.
საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, რევაზ ტაბატაძემ განმარტა, რომ აღნიშნული შეფასების ფორმა სრულად შეესაბამება კურსის შინაარსსა და სასწავლო მიზნებს, ვინაიდან პირველი ლექციიდან მეშვიდე ლექციის ჩათვლით სტუდენტები სწავლობენ ყველა იმ საკითხს, რომელიც სილაბუსით არის გათვალისწინებული. კერძოდ, კურსის ფარგლებში ისინი ეუფლებიან მონაცემთა ბაზებში სამეცნიერო ლიტერატურის მოძიების, მისი გაანალიზებისა და ნაშრომში სათანადოდ გამოყენების უნარებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:21
დასრულების დრო: 15:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის"განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის"განათლების ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის"განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის"განათლების ადმინისტრირების" ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის“მასწავლებლის მომზადების“ საგანანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27^{6}-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-2^{11} პუნქტის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის“მასწავლებლის მომზადების“ საგანანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნეს მიღებული.

საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 15:26 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე



